

(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა შიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხიდე 15004022 ადმინისტრაციული მოქმედების დამხმარი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 7 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევას)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციული მოქმედებით კოდექსის 79⁸ მუხლის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი
შესაბამისად. და აგრეთვე კოდექსის 79⁷ მუხლის შესაბამისად.

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გუბოსაუფლო ზედახედიანის დეპუტატი
უფლის მოადგილე - მთავარი სტუმარი ინსპექტორი ნეი კოხიკაძე

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოხიკაძე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

ივსება კოხიკაძე

(რეგულირების თხოვნის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 12 თებერვლის №21/1241 წერილის საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა №17-ში განთავსებული, შპს „კნაუფ გიპს თბილისი“-ს (ს/კ 205181532) კუთვნილ თაბაშირ-მუყაოს ფილების წარმოებაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 1 ოქტომბრის № 2-881 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2017 წლის 11 აგვისტოს №53 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება.

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. 2011 წლის 4 აგვისტოს №17 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირველი პირობით დადგენილი ვალდებულების თანახმად, შპს "კნაუფ გიპს თბილისი" საქმიანობას არ ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემისა და ვალდებულების შესაბამისად. კერძოდ:
 - 1.1 საწარმოში არ არის მოწყობილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული სტაციონარული ქაფწარმომქმნელი გენერატორი, შესაბამისად კომპანიამ ვერ წარმოადგინა ქაფწარმომქმნელი სითხის წელიწადში ერთხელ გამოცვლის დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
 - 1.2 კომპანიამ ვერ წარმოადგინა გზშ ანგარიშით გათვალისწინებული (თავი 8. ნარჩენი (კუმულატიური) ზეგავლენის კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდები), კომპანიის მიერ შემუშავებული, კუმულაციური ზეგავლენის კონტროლის, ასევე ატმოსფეროში გაფრქვევების და ჩამდინარე წყლის ობიექტებში ჩაშვების დადგენილი ნორმების გადამეტების შემთხვევაში, გაფრთხილების და სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებების გატარების რეკომენდაციები;
 - 1.3 კომპანიის მიერ, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების ეფექტურობის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის შესრულებული გზშ ანგარიშისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №21 დადგენილების დანართის (ფორმის) შესაბამისად;
2. 2011 წლის 4 აგვისტოს №17 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-2 პირობის თანახმად, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დადგენის მიზნით, წარმოდგენილი მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაცია ("პად-1", "პად-2", "პად-3" ფორმების) არ არის ნაწარმოები საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად. კერძოდ:
 - 2.1 კომპანიის მიერ წარმოდგენილი "პად-1" ფორმა არ არის დამოწმებული (გრაფა-21) შემვსები პირის ხელმოწერით, ასევე არ არის მითითებული თარიღი;
 - 2.2 არ არის ნაწარმოები აირმტვერდამჭერი და ტექნოლოგიური მოწყობილობების მუშაობის რეჟიმის აღრიცხვის (ფორმა №პად-2) ფორმა;

3. 2011 წლის 4 აგვისტოს №17 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-2 პირობის შესაბამისად კომპანია არ უზრუნველყოფს უახლოეს მოსახლესთან ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგს;

4. ინსპექტირების შედეგად ასევე დადგინდა, რომ შპს „კნაუფ გიპს თბილისის“ თაბაშირ-მუყაოს ფილების საწარმოში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა (მათ შორის გაფრქვევის წყაროთა რაოდენობა), არ შეესაბამება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში და 2022 წლის 30 მაისს, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებულ „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“ წარმოდგენილ ინფორმაციას და კომპანია საქმიანობას ახორციელებს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე. კერძოდ:

4.1 2011 წლამდე არსებული საწარმოო პროცესის ფუნქციონალური ცვლილების შემდეგ მოეწყო თაბაშირის სახარში საამქრო, განსხვავებული სისტემა-დანადგარებით და ტექნოლოგიური პროცესით. შესაბამისად, განხორციელდა შემდეგი დანადგარების დამატება: მსხვრევარა, ელევატორი, ხრეშის სილოსი და მისი ასპირაციული სისტემა, თევზური დოზადორი, ჩაქუჩებიანი წისქვილი და მისი ასპირაციული სისტემა, ნედლი თაბაშირის ელევატორი, ნედლი თაბაშირის სილოსი, ასპირაციული სისტემით, ასაწონი შნეკი, თაბაშირის სახარში ქვაბი და მისი ასპირაციული სისტემა, ტრანსპორტირების შნეკები და ელევატორი თაბაშირის მჭიდარ სილოსებში ჩასატვირთად;

4.2 2016 წელს თაბაშირის სახარში საამქროში დამონტაჟდა გაზზე მომუშავე მეორე სახარში ქვაბი და რიგი მოწყობილობები. კერძოდ, დაემატა გაზის სანთურა, ცხელი ჰაერის და ასპირაციის არხები;

4.3 საწარმოო პროცესების მოდერნიზაციის შედეგად არსებულ 6 სარეზერვო წყვილად თითო (სულ 3 ერთეული) სახელოებიანი ფილტრით აღჭურვილ თაბაშირის სილოსს, დაემატა 8 სილოსი, რომლებიც წყვილად აღჭურვილია თითო სახელოებიანი ასპირაციული ფილტრით (სულ 4 ერთეული);

4.4 აშენდა ცალკე შენობა, სადაც განთავსებულია სამი, 100 მ³ მოცულობის სილოსი, ინერტული დანამატებისთვის. მათზე განთავსებულია 2 ცალი ასპირაციული კარტრიჯული ფილტრი. შენობის წინ მოეწყო დანამატების მისაღები ბუნკერი, თვითმცლელი ავტოტრანსპორტისთვის, რომელიც ასევე აღჭურვილია ასპირაციული ფილტრით;

4.5 თაბაშირ-მუყაოს ფილების საამქროს გვერდით დამონტაჟდა ინერტული მასალის სახარჯი სილოსი, მასზე განთავსებული კარტრიჯული ფილტრით;

4.6 საწარმოში, ასევე მოეწყო მეტალის პროფილების საამქრო, სადაც სპეციალურ დაზგაზე, მოთუთიებული მეტალის ლენტის ცივი დეფორმირების შედეგად, ხდება მეტალის პროფილების წარმოება;

4.7 საწარმოს ტერიტორიაზე, დახურულ შენობაში, განთავსებულია დიზელის საწვავისთვის განკუთვნილი 4 ტონიანი რკინის რეზერვუარი და სარეზერვო 200 ლიტრიანი რკინის ავზი, საწვავის ჩასხმისთვის განკუთვნილი ე.წ. „პისტოლეტით“, რომლიდანაც საწვავის სათადარიგოდ შევსება ხდება უქმე ან დასვენების დღეებში. აღნიშნული შენობის წინ მოწყობილია საწვავის ჩასხმისთვის განკუთვნილი, ე.წ. „პისტოლეტით“ აღჭურვილი დიზელის გასამართი სვეტი/მცირე სადგური;

4.8 თაბაშირ-მუყაოს საამქროს დასავლეთით, თაბაშირის სახარში საამქროს შემდეგ, განთავსებულია და ცალკე შენობაში ფუნქციონირებს წუნდებული ფილების შესაფუთ

- სადებებად დაჭრის დანადგარი. აღნიშნული უბანი აღჭურვილია ასპირაციული სახელოებიანი ფილტრით;
- 4.9 საწარმოში ელექტროჩანგლიანი ავტომატიზირებული ექსპლუატაციაში ჩაშვებასთან ერთად, მოეწყო ვენტილაციის სისტემით აღჭურვილი, ლითიუმის და მჟავა აკუმულატორების სატენი შენობა;
- 4.10 საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ სარკინიგზო ხაზზე მოეწყო ე.წ "გონდოლას" ტიპის ვაგონების დაცლის ესტაკადა, რომლითაც საწარმოში შემოდის საწყისი ნედლეული - თაბაშირის ქვა;
- 4.11 თაბაშირის წარმოების საამქროში, ასევე განთავსებულია ნეალიტის წარმოების დანადგართა კომპლექსი, რომელიც შედგება ბურთულებიანი წისქვილის, შნეკის, შაქრის დოზატორისა და "უმი" თაბაშირის ბუნკერისგან;
- 4.12 2024 წლის 29 იანვრიდან ექსპლუატაციაში შევიდა და ფორმირების უბანს დაემატა დანადგარების სისტემა, რომელიც შედგება შემრევისა და ოთხი შნეკისგან. აღნიშნული სისტემის დახმარებით ხდება თაბაშირის მჭიდარ წინასწარ წყლით დანამვა და თაბაშირის ე.წ. დამკვლევა, რაც ცვლის თაბაშირის მჭიდარ მახასიათებლებს. დანადგარების სისტემას ემსახურება გაზის სანთურა, ცხელი ჰაერით უზრუნველსაყოფად, რაც პროცესში შნეკებიდან გაიწოვება ასპირაციული სახელოებიანი ფილტრით და გაიფრქვევა ატმოსფეროში გ-27 წყაროდან. აღნიშნული წყარო არ არის განხილული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“;
- 4.13 თაბაშირ-მუყაოს ფილების საამქროს სამხრეთით გატარებულ ნაწილში მოწყობილია ორი მცირე საწარმოო ხაზი. ერთი დანადგარი თხევადი გრუნტების ჩამოსასხმელად, ხოლო მეორე მზა თხევადი ფითხების (სუპერ ფინიში) ჩამოსასხმელად. გრუნტების ჩამოსხმა ხდება 10 კგ. სათლში, ხოლო მზა ფითხების 25 კგ. სათლში, რომლებიც საბოლოოდ ჰერმეტიკულად იხუფება;
- 4.14 გრუნტებისა და მზა ფითხების საამქროების მომიჯნავედ განთავსებულია მშრალი ფითხების ახალი საამქრო;
- 4.15 ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოში მოწყობილია 20 მ³ წარმადობის გამწმენდი დანადგარი-მექანიკური სალექარი, ძირითადად თაბაშირ-მუყაოს ფილების წარმოების საამქროდან წარმოქმნილი ჩამდინარე წლებისათვის, ხოლო საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წლებისათვის დამონტაჟებულია ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარი. აღნიშნული დანადგარები/პროცესი არ არის განხილული გზშ ანგარიშში;
- 4.16 გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად, ტექნოლოგიური პროცესის შედეგად, კერძოდ, თაბაშირის დაფქვის წისქვილიდან გამოყოფილი მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირების მიზნით და პროდუქციის დანაკარგის შესამცირებლად, საწარმოში დამონტაჟებული უნდა იყოს ორსაფეხურიანი მტვერდამჭერი მოწყობილობები - ციკლონ-ბუნკერი, რომლის ეფექტურობა ტოლია 70% და სახელოებიანი ფილტრი, რომლის ეფექტურობა უნდა შეადგენდეს 99.9%, თუმცა ინსპექტირების პროცესში საწარმოში ციკლონ-ბუნკერი არ დაფიქსირდა;
- 4.17 ჩატუჩებიანი წისქვილის ასპირაციული სისტემა აღჭურვილია სახელოებიანი ფილტრით (გ-7 წყარო), მასში ასევე ჩართულია ნეალიტის წარმოების ბურთულებიანი წისქვილი, აღნიშნულ წყაროზე ასევე მიერთებულია თაბაშირის წარმოების ტექნოლოგიურ ხაზში ჩართული ორი (ერთნაირი წარმადობის) ქვების, ბუხარ-გამწოვები გაფრქვევის წყაროები (გ-8 და გ-9), რომლებიც მუშა პროცესში მუდმივად დაკეტილია (აქვს ავარიული, ზალპური გაშვების დანიშნულება) და გ-7 წყაროდან გაიფრქვევა ცხელი ჰაერი,

თუმცა აღნიშნული გაფრქვევა არ არის გათვალისწინებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“;

- 4.18 აკუმულატორების სამუხტი შენობა მოწყობილია ელექტროჩანგლიანი ავტომობილებების ექსპლუატაციაში ჩაშვებასთან ერთად და არსებულ გაფრქვევის წყაროს დაემატა 1 (ერთი) გაფრქვევის წყარო (გ-26). აღნიშნული წყარო არ არის განხილული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“;
- 4.19 საწარმოში ასევე მოწყობილია მსხვილი ფრაქციის ბუნკერის ასპირაციული სისტემა, რომელსაც აქვს კარტრიჯული ფილტრი და წარმოადგენს გაფრქვევის წყაროს (გ-6), რომელიც არ არის განხილული გზშ ანგარიშში, თუმცა აღნიშნული წყარო მოცემულია 2022 წლის 30 მაისს, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებულ ზღვ ნორმების პროექტში;
- 4.20 დადგინდა, რომ საწარმოში მოწყობილია ცალკე შენობა გაჯისა და კირქვის ინერტული დანამატების დასაწყობებისთვის, სადაც განთავსებულია 3 ერთეული სილოსი, რომლებიც არ გამოიყენება. სილოსების თავზე მოწყობილია 2 კარტრიჯული ფილტრი, ვენტილატორების გარეშე. ისინი წარმოადგენენ გაფრქვევის წყაროებს გ-18 და გ-19. ასევე დადგინდა, რომ შენობაში დროებით განთავსებულია თხევადი დანამატები, ხოლო ამ ეტაპზე, წარმოებაში გაჯის გამოყენება არ ხდება, ხოლო კირქვის (სახარჯი) სილოსი განთავსებულია თაბაშირ-მუყაოს საამქროს მიმდებარედ, რომელსაც კირქვა პირდაპირ მიეწოდება ავტომობილებიდან, პნევმოკომპრესორის საშუალებით. აღნიშნული საამქროს წინ განთავსებულია დანამატების მიმღები ბუნკერი, რომელსაც აქვს სახელოებიანი ფილტრი (გაფრქვევის წყარო გ-20). ამასთან, აღნიშნული წყაროები არ არის განხილული გზშ ანგარიშში, თუმცა ასახულია 2022 წლის 30 მაისს, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებულ ზღვ ნორმების პროექტში;
- 4.21 ინსპექტირებით დადგინდა, რომ მშრალი ფითხების საწარმოო ხაზის ასპირაციული სისტემა „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“ მოცემული სახელოებიანი ფილტრის ნაცვლად, აღჭურვილია კარტრიჯული ფილტრით (გაფრქვევის გ-24 წყარო), ხოლო თაბაშირის მჭიდს და პერლიტის შუალედური ბუნკერები აღჭურვილია კარტრიჯული ფილტრებით. ამასთან, აღნიშნული კარტრიჯული ფილტრები არ არის განხილული გზშ ანგარიშში.

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 20 მაისს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის პირველი ნაწილის და 79⁸ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს „კნაუფ გიპს თბილისი“-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 089043 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 18 ივნისის № 4/199-2023 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით და 79⁸ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა - ჯარიმა 7000 ლარი. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „კნაუფ გიპს თბილისი“-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 19 აგვისტოს №004022 ადმინისტრაციული მიწერილობა.

•

შპს „კნაუფ გიპს თბილისი“-ს (ს/კ 205181532) კუთვნილ თაბაშირ-მუყაოს ფილების წარმოებაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 1 ოქტომბრის № 2-881 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2017 წლის 11 აგვისტოს №53 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, შპს „კნაუფ გიპს თბილისი“ ვალდებულია:

1. საქმიანობა განახორციელოს 2017 წლის 11 აგვისტოს №53 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირველი პირობის დაცვით. მათ შორის:
 - 1.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში უზრუნველყოს საწარმოში, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული, სტაციონარული ქაფწარმომქმნელი გენერატორის მოწყობა, რომლის მოწყობიდან, წელიწადში ერთხელ მოახდინოს ქაფწარმომქმნელი სითხის გამოცვლა;
 - 1.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში შეიმუშაოს გზშ ანგარიშით გათვალისწინებული (თავი 8. ნარჩენი (კუმულატიური) ზეგავლენის კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდები), კუმულაციური ზეგავლენის კონტროლის, ასევე ატმოსფეროში გაფრქვევების და ჩამდინარე წყლის ობიექტებში ჩაშვების დადგენილი ნორმების გადამეტების შემთხვევაში, გაფრთხილებისა და სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებების რეკომენდაციები. შემდგომში მუდმივად უზრუნველყოს რეკომენდაციების შესრულება;
 - 1.3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების ეფექტურობის კონტროლი, გზშ ანგარიშისა და „აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლუატაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №21 დადგენილების შესაბამისად;
2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად, კანონმდებლობით დადგენილი წესით და პერიოდულობით, უზრუნველყოს მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოება („პად-1“, „პად-2“, „პად-3“ ფორმები), „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31

- დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად (2017 წლის 11 აგვისტოს №53 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე - 2 პირობა);
3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან, საქმიანობის განხორციელების პროცესში, მუდმივად უზრუნველყოს უახლოეს მოსახლესთან ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი, გზშ ანგარიშის შესაბამისად;
 4. გზშ-ის სფეროში შესაბამის აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებების განხორციელებამდე, ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, საწარმოში არსებული ფაქტობრივი პირობების გათვალისწინებით, შეიმუშაოს და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს შესათანხმებლად წარუდგინოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“. შემდგომ საქმიანობა განახორციელოს შეთანხმებული პროექტის შესაბამისად და უზრუნველყოს დადგენილი ნორმების დაცვა;

ამასთან, ვინაიდან ინსპექტირებით დადგინდა, რომ საქმიანობის განხორციელების ადგილზე არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება შპს „კნაუფ გიპს თბილისი“-ს (ს/კ 205181532) კუთვნილ თაბაშირ-მუყაოს ფილების წარმოებაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 1 ოქტომბრის № 2-881 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2017 წლის 11 აგვისტოს №53 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) და გზშ ანგარიშით გათვალისწინებულ გარემოებებს (იხ. მიწერილობის დანართი №1), ასევე კომპანიას სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 20 თებერვლის № 107/ს ბრძანებით, მიღებული აქვს სკოპინგის გადაწყვეტილება, შპს „კნაუფ გიპს თბილისი“, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ვალდებულია არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, უზრუნველყოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წარდგენა (მათ შორის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ცვლილებების გათვალისწინებით)

